წელიწადი 1-ლი გაზ. ფასი 3 შაური. ტელეფონი № 76. ოთხშაბათი სექტემბრის 13—(26) 1917

# ჩვენი ქვეყანა

გაზეთის ფასი:
თვიურათ . . . . 3 მან.
ოთხი თვით . . . . 1 თუმანი.
ცალკე ნუმერი . . . . 3 შაური.
განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე პეტიტით ღირს . . 2 აბაზი.
უკანასკნელ გვერდზე . . . . 5 შაური.
ქალაქ გარედან მიღებული განცხადების ღირს ერთი-ორათ
სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ არა უმეტეს სამი გამომცხადებლისა, ნაშუადღევის 2 საათ. 6 მ. 2 საათის შემდეგ 7 მ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თფილისის ქუჩაზე, მიქელაძის სახში. კანტორა ღიაა დილის 9—2 საათამდის, და სალამოს 5—8 საათამდის, კვირა-უქმე დღეების გარდა.

№ 125 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 125

ქალაქის თეატრი
ხუთშაბათს ენკენისთვის 14, გაიმართება

## დიდი საღამო

სამ განყოფილებათ
I.

## სოციალიზმი

ლექციას წაიკითხავს ალ. თორაძე
II.
სალიტერატურო განყოფილება:
ნ. ლორთქიფანიძე—სურათი.
შ. ამირაჯიბი—სონეტი. წაიკითხავს № №
დ. თომაშვილი —ლექსი
შ. კარმელი—ლექსი საკ. ნაწარმოები.
ამ. პირველი - ლექსი საკ. ნაწარმოები და სხვანი.
III.
მუსიკალური განყოფილება:
თავისუფალი მხატვარი ი. ს. მაგაზინერი (სკრიპკა). პარიზის კონსერვატორიის მოსწავლე კომპოზიტორი ვ. ჯაბადარი—(პიანინო) დაუკრავს საკუთარ ნაწარმოებს „ქაჯთა ცეკვას“, მომღერალი ჩხაიძე—„შემიყვარდა ეგ ხმა ტკბილი“; პიანინოზე დამკვრელი ქალი გოკიელოვის ასული, პიანისტი ნ. შარაბიძე დასხვანი.
დასაწყისი სალამოს სრულ 8 საათზე (ძველი დროით).
ფასები ჩვეულებრივი ✖ დაწვრილებით პროგრამაში.

ელექტრო „ამპირი“ თეატრი.
11 ენკენისთვიდან ნაჩვენები იქნება

## კაბირია

5 ეპიზოდათ. მე-2 სერია. უმთავრეს როლს გამოჩენილი მსახიობი მაცისტი ასრულებს.

ელექტრო „რადიუმი“ თეატრი.
ნაჩვენები იქნება საუცხოო დრამა

## „გოლგოთა“

მარიამ ბერტოლეს მონაწილეობით 5 ნაწილათ.

## სავალდებულო დადგენილება

ქუთაისის გუბერნიის სასურსათო კომიტეტისა.

ადგილობრივ სასურსათო ორგანოების დებულებათა მე 13 მუხლის 20 პ. თანახმად ქუთაისის გუბერნიის სასურსათო კომიტეტმა დაადგინა: ქ. ქუთაისიდან და ქუთაისის გუბერნიის საზღვრებიდან ადგილობრივ კავკასიური მაუდის „შალის“ და მატყლის გატანა აიკრძალოს. ადმინისტრაცია რკინის გზათა, ფოსტა ტელეგრაფის კონტორათა და განყოფილებათა ევალებათ არ მიიღონ გუბერნიის საზღვრებს გარეთ გასატანათ ზემოთ აღნიშნული შალი და მატყლი, თუ კი შესაფერი მოწმობა ქუთაისის გუბერნიის სასურსათო კომიტეტის წარმოდგენილი არ იქნება ამ სავალდებულო დადგენილების აუსრულებლობისათვის, დამნაშავენი სასჯელთა წესდების მე 29-ე მუხლის ძალით, მომრიგებელ მსაჯულთა გადაწყვეტილებით 17 მარტ. 17 წ. დროებითი მთავრობის დადგენილების რედაქციის მიხედვით პასუხს აგებენ. ეს სავალდებულო დადგენილება ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ქუთაისის გუბერნიის სასურსათო კომიტეტი

## სამტრედიის ქალ. საბჭოს არჩევნები.

1917 წ. 17 ენკენისთვეს დანიშნულია ქალ. სამტრედიის ხმოსნების არჩევნები, ქალაქი ერთ საარჩევნო ოლქათ არის აღიარებული. ამრჩევლებისათვის ხმის მიცემის გასაადვილებლათ საარჩევნო ყუთები დაიდგმება 5 ადგილას: 1. ილორის ორკლასიან სასწავლებელში. 2. მაცხოვრის სამრევლო შკოლაში. 3. მელოურში მიხეილ დიმიტრის-ძე ბუჭუას სახში 4. საზოგადო კლუბის დარბაზში. 5. რკინის გზის კლუბში. ამ დანიშნულ ადგილებში ვისაც სად უფრო ეახლოვება ხმას იქ მისცემს.

სამტ. საქ. საარჩევნო კომიტეტი.

## ქუთაისის კომერციული სასწავლებელი

აცხადებს, რომ დამატებითი გამოცდა ყველა კლასების მოწაფეებისა დანიშნულია 15 და 16 სექტემბერს დილის 8 ½ საათ. **მისაღები გამოცდა უნცროს მოსამზადებელ კლასში** და დანარჩენ კლასებში რომელშიაც აღმოჩნდება თავისუფალი ადგილები მოხდება 18 და 19 სექტემბერს. **სწავლა დაიწყება** 20 სექტემბერს დილის 8½ ს. ძველი დროით.

## ქუთაისის ქალაქის სასურსათო კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ თავის სახელოსნოებისათვის მას ესაჭიროება

## მეწაღეები და მეწუღეები

პირობების გასაგებათ მიმართეთ სასურსათო კომიტეტში სალამოს 5 საათიდან 7 საათამდი.

## ქუთაისის ქალაქის სასურსათო კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ ტყავეულობის, დამზადებული ფეხსაცმელების და მიტკლის დარიგების წესები გაზეთებში ცალკე გამოცხადდება.

## ძმ. ყორყოლაძეების მაღაზიაში

(მიხეილის ქუჩა საკუთარი სახლი)
მიღებულია სპანის საკეთებელი **სოდა** და მისი ყოველივე მასალები. ფასები ზომიერია.

**ექიმი შალვა კოკოჩაშვილი** იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფთ დღის 12—2 და სალამოს 5—7. მისამართი: თბილისის ქუჩა, № 46. ტელეფ. 87.

**ექიმი გ. ნ. მაგავიანი** გადადის რა თბილისში, მხურვალე სალამს უძღვნის მეგობრებს, ნაცნობებს და პაციენტებს.

## საქართველოს ეროვნული საბჭო.

რაც უფრო რთულია სხეული, მით უფრო ნაზია და მით უფრო სათუთად მოპყრობას თხოულობს.

არის ერთგვარი ჭია; მას გასჭრით, და ორივე ნაწილი ისე განაგრძობს ცხოვრებას, როგორც მთელი.

ხეს დაბელავენ და ამოიყრის.

ადამიანს კი ერთი ღრმა სულიერი განცდა სავსებით გარდაქმნის.

მხიარული—მელანქოლიკათ იქცევა და უსჯულო სავლე ღვთის მმოსავ პავლეთ.

პოლიტიკური არსებობის დაკარგვამ მოსპო საქართველოში ისედაც სუსტი შეგნება ეროვნული მთლიანობისა, ეროვნული სულისა; თუ პირველ ხანებში ქართველი ჩვეულებრივ მოვლენად სთვლიდა პირადის ანგარიშებით, ჩინ-მენდალზე სამშობლოს გაცვლას, უკანასკნელ დროს პარტიას ეწირებოდა ბევრი რამ, რაც შეადგენს სიამაყეს ერისას და რაც მცხოვრებთ, სხვადასხვა ჯგუფსა და წრეებს კულტურულ ერად ჰქმნის.

თავზარდამცემმა ომმა გამოაფხიზლა სადღაც გულის სიღრმეში მიჩქმალული ეროვნული სული და რევოლუციის მიერ გამოწვეულმა „ღირებულებათა გადაფასებამ“ პირველ რიგში წამოაყენა იგი.

დიდი თავდაჭერით, ნელის ნაბიჯით უახლოვდებოდენ დასები ერთმანეთს, და საზოგადოებრივი აზრი მოუთმენლად ელოდა საერთო მათ ხმას, ხმას შემაერთებელს, ხმას ეროვნულს, ხმას დავიწყებულს, მაგრამ სანეტაროს, მოელოდა საერთო მოქმედებას, მოქმედებას ერის სახელით, ერის სასარგებლოთ.

და ეს სურვილი ხშირად განგებ ჰქმნიდა ლეგენდებს დასთა შორის შეთანხმებისას, სურვილს ფაქტად აღიარებდა.

და როგორც იქნა აღსრულდა... შეერთება დასთა უკვე ფაქტია... საქართველოს ეროვნული საბჭო არა თუ არსებობს, არამედ მას დიდი პოლიტიკური ნაბიჯიც გადუდგამს. ჩვენის გაზეთის დღევანდელ ნუმერში მკითხველი წაიკითხავს:

ეროვნულ ინტერპარტიულმა საბჭომ პეტროგრადში 12 სექტემბრისათვის მოწვეულ დემოკრატიულ თათბირზე დასასწრებლად აირჩია ნ. ჟორდანია, ა. ჩხენკელი, ს. მდივანი და შ. ამირაჯიბი. ისინი საბჭოს სახელით სახელმწიფოებრივ თათბირზე დაიცავენ --ძალა-უფლების გადასვლას რევოლუციური დემოკრატიის ხელში, კონტრევოლუციასთან მედგარ ბრძოლას, რესპუბლიკის დაცვას, დამფუძნებელი კრების საჩქაროდ მოწვევას, დაუყონებლივ ზავის ჩამოგდებას, ერთა თვითგამორკვევას, **საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიალ თვითმართველობას**, საერთოდ ყველა ერის პოლიტიკურ უფლებას და მათთან შეთანხმებით მოქმედებას დამფუძნებულ კრების მოწვევამდე.

ეს არის უდიდესი შედეგი რევოლუციისა საქართველოს სასარგებლოთ. 117 წლის შემდეგ მთელი ერი ერთს პოლიტიკურ პლატფორმას იმუშავებს.., და მის სისრულეში მოსაყვანად რიგში დგებიან პარტიულად შეურიგებელი ნ. ჟორდანია და შ. ამირაჯიბი, ა. ჩხენკელი და ს. მდივანი.

მომავალის თამამად შეგვიძლია უცქიროთ... მცირე რიცხოვანია ქართველი ერი, მაგრამ ერობა დამყარდა—„საქართველო ჩვენია.“

ჭირი და ლხინი დღეიდან უნდა ვამცნოთ ამ ეროვნულ საბჭოს ჩვენი მოსაზრება შევატყობინოთ მას, დაუჭიროთ მხარი, შევისისხორცოთ იგი, როგორც მებაირახტრე და წინამძღოლი ჩვენი!

არსებულ პირობებში რუსეთის საზღვრებთა შორის მეტი შეუძლებელია...

გავსწორდეთ წელში და ჩვენს ბედის ვარსკვლავს ნუღარ ვემდურით!

Argon.

P. S. საქართველოს ეროვნულ ინტერპარტიული საბჭოს დროებითი მისამართი: თბილისი, ფრეილინის ქ. № 12, სადეპუტატო საკრებულოს შენობა. Ar.

## ქუთაისის სასამართლო.

ენკენისთვის 11-ს საგუბერნიო აღმ. კომიტეტის სხდომაზე ბევრი საყურადღებო ითქვა ქუთაისის ოლქის სასამართლოს შესახებ.

დღემდის თურმე სასამართლოდან სავსებით გაძევებული არ არიან ძველი რეაქციელი მოხელენი. სასამართლოს დრ. თავმჯდომარე ბ ნი დავიდოვიჩი და თბილისს სპეციალათ გაგზავნილი კომისია აღნიშნავდა, თბილისის სამოსამართლო პალატის უფროსი ჩერნიშევი უყურადღებოთ სტოვებს და არ ამტკიცებს სასამართლოს ამა თუ იმ თანამდებობაზე ქუთაისის რევოლუციურ ორგანიზაციებისაგან წარდგენილ პირთ. რეაქციელი ნიკიტინი (ოლქის სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე) ქუთაისშია და, როდესაც იუსტიციის მინისტრს დეპეშს უგზავნის, ქვეით აწერს „ქუთაისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე“.

განაცხადეს, რომ სასამართლოში არავითარი ძირითადი რეფორმა არ მომხდარა, ნაციონალიზაციის შესახებ კითხვა არ აღძრულა და განწყობილება მუშაობის ხასიათი წინანდელი რეაქციული დარჩა.

საგუბერნიო აღმასრულებელმა კომიტეტმა ერთხმათ დაადგინა, დაბეჯითებით მოეთხოვოს ჩერნიშევს, სარევოლუციო და საგანგებო კომიტეტებს, რომ დაუყონებლივ დაკმაყოფილებულ იქმნას ქუთაისის რევოლუციურ ორგანიზაციების მოთხოვნილება: სასამართლოსთვის დაამტკიცონ ქუთაისიდან წარდგენილი კანდიდატები.

სამწუხაროა, რომ ასე ნელის ნაბიჯით მიმდინარეობს სასამართლოს განახლება-გარდაქმნის საქმე, სამწუხაროა ისიც, რომ ჩვენს ქვეყანაში დარჩენ ისეთი პირები რომლებიც თვითმპყრობელობის დროს ხალხის საწამებლათ იყვენ წარმოგზავნილი. ქუთაისის რევოლუციური ორგანიზაციები ზომას იღებენ, ხვალ შეიძლება მათ მიერ წარდგენილი კანდიდატები დანიშნონ, მაგრამ ეს ვერ იქნება კიდევ ქართველი ხალხის დაკმაყოფილება და სურვილის განაღდება. საჭირო არ არის შევეხოთ, თუ რა მნიშვნელობა აქვს სასამართლოს ხალხისთვის და მით უმეტეს მის სამშობლო ენაზე მოწყობას. ქართველ ხალხს სჭირია, რომ სასამართლოში საქმეები სწარმოებდეს მის გასაგებ დედა ენაზე. ეს რეალურათ უნდა განაღდებულიყო დღეს, ძველ სოციალ ცხოვრების საყოველთაო გადარღვევის დროს. რათ ყოვნდება საქმე? ხალხის ინტერესები, რევოლუციისადმი სალი განწყობის საჭიროება გვიკარნახებენ, რომ ადგილობრივი საადმინისტრაციო სამოსამართლო თუ სხვა დაწესებულებანი ისე მოეწყოს, როგორც ეს აქაურ მკვიდრთა ყოფა-ცხოვრებას შეეფერება და ხალხს წარმოუდგენია.

საქართველოში დაარსდა სარევოლუციო ორგანიზაციები, საქმე მათ უფრო კარგათ აქვთ მოწყობილი, ვიდრე ეს რუსეთის სახელმწიფოს სხვა ადგილებშია, რაც კომისარების თათბირზეც გამორკვეულა, მაგრამ დანაკლისი ის არის, მათს მოღვაწეობა-მოქმედებას შინაარს ის უკარგავს, რომ ეროვნული შემოქმედება არა სჩანს.

ჩვენში არსებული რევოლუციური ორგანიზაციები ეროვნულ შემოქმედების მიხედვით უნდა იწყებდენ ამა თუ იმ გეგმის შესრულებას.

დრო არის საქართველოში არსებული რევოლუციური ორგანიზაციები ამ კითხვას სერიოზულათ ჩაუფიქრდენ და შესაფერი ნაბიჯი გადასდგან. დრო არის დაისვას კითხვა საქართველოში არსებულ დაწესებულებათა გაქართულების შესახებ.

ამას ხალხის ნამდვილი ინტერესი მოითხოვს. **ირ - დი.**

## რევოლუციის ამბები.

პ. დ. ს.

დეპეშები.

**ჩხეიძის მაგიერ ბოლშევიკი ფედოროვი აირჩიეს.**

**პეტროგრადი.** ენკენისთვის 9. პეტროგრადის დეპუტატთა საბჭოს მუშათა სექციის მიერ პრეზიდიუმისა და სექციის არჩევნების შედეგი შემდეგია: ბოლშევიკების ფრაქციამ მიიღო 6 ალაგი, მენშევიკებმა —2, სოციალისტ-რევოლუციონერებმა 3. თავმჯდომარედ (ჩხეიძის მაგიერ) აირჩიეს ფედოროვი, ბოლშევიკი, მის ამხანაგებად იაკოვლევი, ბოლშევიკი, სოციალისტ-რევოლუციონერი, და ბროიდა მენშევიკი.

**პეტროგრადის ჯარის მოთხოვნილებანი.**

**პეტროგრადი.** ენკენისთვის 8 მოხდა პეტროგრადის დეპუტატთა საბჭოს ჯარისკაცთა სექციის კრება. დაესწრნენ სამხედრო მინისტრი ვერხოვსკი და პეტროგრადის ჯარის უფროსი პოლკოვნიკი პოლკოვნიკოვი. სხვათა შორის ვერხოვსკიმ აღნიშნა, რომ მეტად საჭიროა ჯარში დისციპლინის აღდგენა. საჭიროა ძლიერი ჯარი, სამშობლოს დასაცველად. მინისტრმა აღნიშნა რომ ამ უკანასკნელ ხანში ჯარისკაცები და მეზღვაურნი მეტად ენდობიან თავიანთ უფროსებს. მინისტრის სიტყვას მქუხარე ტაშით შეეგებნენ. მიიღეს რეზოლუცია, რომელითაც მოითხოვენ რომ პეტროგრადიდან პოლკების მთელი შემადგენლობა არ გაჰყავდეთ, რომ სამარშო როტების და მუშათა კომანდების გაყვანა, მთავარ სარდალთან თათბირის ნებართვით უნდა ხდებოდეს. პოლკის ის ნაწილები, რომლებიც სამხედრო აჭიროებისათვის არ გაიყვანეს—პეტროგრადში უნდა დაბრუნდნენ. კრება დაჟინებით მოითხოვდა აგრეთვე, რომ პეტროგრადის შტაბის რეორგანიზაცია საბჭოს ჯარისკაცთა სექციის სრულ თანხმობით მოხდეს. გადასწყდა, რომ რეზოლუცია მთავარსარდალს ეცნობოს ზომების მისაღებად.

**ბოლშევიკების გამარჯვება პეტროგრადის მუშათა საბჭოში.**

**პეტროგრადი.** ენკენისთვის 9. მორიგ საკითხად გამოცხადდა პრეზიდიუმის არჩევა. **ჩხეიძე** იმეორებს რომ პრეზიდიუმი თანამდებობიდან გადადგა იმ ბოლშევიკურ რეზოლუციის მიღების გამო, რომელიც ძირიანად სცვლის საბჭოს ტაქტიკას და მის პოლიტიკურ სახეს. **წერეთელი** მოითხოვს გარკვეულ პასუხს—სწორე თვალსაზრისს ვდგა პრეზიდიუმი თუ ეხლა საბჭოს სულიერ განწყობილებას აღარ შეეფერება, მენშევიკებმა და სოციალისტ რევოლუციონერმა რეზოლუცია წააყენეს. რეზოლუცია აღნიშნავდა, რომ მარიამობისთვის 31-ს ბოლშევიკების რეზოლუცია შემთხვევით გავიდა და საბჭო სრულს ნდობას უცხადებს თავის პრეზიდიუმსო. რეზოლუციას კენჭი უყარეს. შედეგი: მომხრე 418.—მოწინააღმდეგე 519. თავშეკავლებულები 67. შედეგის გამოცხადების შემდეგ ჩხეიძემ განაცხადა, რომ პრეზიდიუმი თანამდებობას იხსნის და ტრიბუნა დასტოვა. პრეზიდიუმის ადგილი ჯარისკაცთა სექციის ფრაქციამ დაიჭირა. ბოლშევიკები ტაშით შეხვდნენ. მათ წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დეპუტატთა საბჭო ისტორიის ახალ სტრიქონებს იწყებსო.

**მოწოდება სალაშქრო კომიტეტებს.**

**პეტროგრადი.** ენკენისთვის 9. ცენტრალ კომიტეტის სამხედრო განყოფილებამ ფრონტის სალაშქრო კომიტეტებსა და დეპუტატთა საბჭოებს მოწოდებით მიმართა. მოწოდებაში სხვათა შორის ნათქვამია: ძირითად და ამასთან მორიგ საკითხად უფროსთან ნდობის აღდგენა უნდა ჩაითვალოს. მოწოდება სთხოვს თვით-გასამართლებაზე ხელის აღებას და იმედს გამოსთქვამს რომ სალაშქრო ორგანიზაციები შესძლებენ ჯარში წესიერების აღდგენას და სთხოვენ ამხანაგებს იმრომონ ჯარში ბრძოლის ნიჭის ჩანერგვისათვის.

**უნივერსიტეტი ირკუტსკში**

**პეტროგრადი.** ენკენისთვის 9. დროებითმა მთავრობამ საჭიროდ სცნო ირკუტსკში უნივერსიტეტის დაარსება. ჯერჯერობით იურდიული ფაკულტეტი გაიხსნება.

**ახალი მთავრობის შედგენა**

**ნიკიტინი შინაგან საქმეთა მინისტრად.**

**პეტროგრადი.** ენკენისთვის 8. ფოსტა ტელეგრაფის მინისტრი ალექსი ნიკიტინი შინაგან საქმეთა მინისტრად დაინიშნა, იგივე იქნება ძველ თანამდებობაზედაც.

**ყაზახთა მოძრაობა**

**დონის ყაზახთა ყრილობა**

**ნოვოჩერკასკი.** ენკენისთვის 8. ყაზახთა კავშირის საბჭოს წარმომადგენელი **დუტოვი** მისასალმებელ სიტყვაში აღნიშნავს, რომ საბჭომ ზომები მიიღო საერთოდ ყაზახებზე კერძოდ კალედინის შესახებ ბრალდებების ასაცილებლად ყაზახთა ახალი ყრილობის მოწვევის შესახებ დუტოვმა განაცხადა: „ჩვენ ახალი ორგანიზაციები არ გვეჭირვება. ეს ხმამაღლა უნდა განუცხადოთ რევოლუციურ დემოკრატიას.

ყაზახთა ოფიცერმა **ლაპინმა** (სოც.) ბოგაევსკის საპასუხოდ განაცხადა დონში ლასობრივი წინააღმდეგობა დღეაა. თუ თქვენ მტკიცე მთავრობა გესაჭიროებათ ტობოლსკში რომ ნოვიან. თქვენი გზა თუ ჩვენსას არ უერთდება—გავშორდეთ?

როსტოვის დეპუტატთა საბჭოს წარმომადგენელი **ხოხრანოვი** აღნიშნავს, რომ საბჭომ კალედინის შესახებ რეზოლუცია არ გამოიტანა, მაშასადამე დეპუტატთა საბჭოებს არ უნდა ემდურებოდეთო. ორატორმა აღნიშნა, რომ კალედინის სიტყვით მას, არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონია კორნილოვთან და იგი ყაზახობას რევოლუციურ დემოკრატიის მხრის დასაჭერად მოუწოდებდა. ილაპარიკეს ყაზახთა ნაწილების სხვა და სხვა წარმომადგენელმა. ყველანი ერთხმად აცხადებდნენ კალედინის მხრის დაჭერას.

სოციალ-დემოკრატების წარმომადგენელმა **მჟარენკომ** აღნიშნა, რომ რადაც ეჭვის თვალით უყურებენ რუსის ერის იმ ნაწილს, რომელიც დემოკრატიულ წესწყობილებას ანვითარებს და რომელიც დამყარებულია ფართე თვითმართველობის ნიადაგზე. სამხედრო წრე—ეს დონის დემოკრატიული პარლამენტია. ყაზახობა მოითხოვს რომ მას პატივს სცემდნენ. ორატორმა აღნიშნა, რომ კოსტრომის გუბერნიის ზოგ ზოგ ვლავას, გლეხები ნიკოლოზის სურათით დადიან და მის შესახებ სთქვა: „ჩრდილოეთი თუ ისურვებს, რომ ნიკოლოზი გვირგვინით შემოსონ ყაზახობა შეეცდება მის ჩამოგდებას, თუნდაც ეს ჩვენ ვერ შევძლოთ“ (მქუხარე ტაში). **ყუბანის სამხედრო ყრილობის ხახელით** განაცხადეს, რომ იგი მზადაა მხარი დაუჭირონ დონს თუნდაც იარაღითაც. ორატორის სიტყვით, ყუბანის ყაზახობა მეტად აღელვებინა კალედინის შეპყრობას. როსტოვის ქალაქის საბჭოს წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ რევოლუციურ დემოკრატიას და რევოლუციურ ყაზახობას საერთო გზა ექნებათ. ყრილობაზე გამოირკვა კალედინის უდანაშაულობა. ეს ეცნობება როსტოვის ქალაქის საბჭოს და სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ცენტრალ კომიტეტს.

გაზეთები ზავის შესახებ მსჯელობენ, „დენი“ სწერს: „გერმანეთი დათმობას დალევა. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მოკავშირენი რუსეთს არ მიანდობენ ომის ლიკვიტაციას. მაგრამ საჭიროა ძლიერი მთავრობის შედგენაო.

მთავარ სარდალ ალექსიევის მაგიერ გენერალი დუხონინი დაინიშნა.

სანდო პირების ცნობით შესაძლოა მოკლე ხანში ზავი ჩამოვარდეს. საშუამდგომლო თაოსნობა ინგლის-საფრანგეთს ეკუთვნის.

# მსოფლიო ომი.

**პ. დ. ს.**

**დ ე პ ე შ ე ბ ი.**

**რუსეთის ფრონტი.**

**პეტროგრადი.** ენკენისთვის 9. ოფიციალი. ჩრდილოეთის ფრონტი. რიგის მიმართულებით ენკენისთვის 8-ს გერმანელებმა სისეგალის მიმართულებით შეტევა დაიწყეს. რუსის ჯარის მოწინავეებმა არტილერიის დახმარებით მტრის შეტევა შეაჩერეს. იაკობშტადტის მიმართულებით მტერმა ენკენისთვის 8-დან ძლიერი საარტილერიო ცეცხლი დაანთო. უმეტესად „დოკტერ-ზედბერგ“-ის უბნის თხრილებს არტყხეს სროლა. მტერი ქიმიურ ყუმბარებს ხმარობდა. შუადღისას ამ რაიონში გერმანელებმა შეტევა დაიწყეს და ადინანას (?) სამხრეთ დასავლეთით ასპარეზის ნაწილი დაიჭირეს. მტერმა შესძლო დვინიდან 2 ვერსის მანძილზე მდებარე ზოგიერთა ადგილების დაჭერა. რუსის ჯარი დვინის მარჯვენა მხარეზე გადმოდიან.

**დასავლეთისა და სამხრეთ დასავლეთის ფრონტები.** სვენციანის მიმართულებით და პოსტავის სამხრეთ დასავლეთით დიდი სროლაა.

**რუმინეთის ფრონტი.** ენკენისთვის 7-ს საღამოთი მუნჩელუს ჩრდილო რაიონში გერმანელებმა სამჯერ მიიტანეს იერიში რუმინელების ასპარეზზე. რუმინელებმა მტერი მოიგერიეს. მოიგერიეს აგრეთვე გუშინდელი იერიში გროზესჩის ჩრდილოეთით.

**კავკასიის ფრონტი.** არსებითი არ არის-რა.

**პეტროგრადი.** ენკენ. 10. ოფიციალი. ჩრდილოეთის ფრონტი. ენკენისთვის 9-ს რიგის მიმართულებით, რუნენის რაიონში რუსის ჯარმა წინ წაიწია. იაკობშტადტის რაიონში რუსის ჯარი დვინის მარჯვენა ნაპირზე გამაგრდა და მდინარეს მარცხენა ნაპირზე მდგომ მტრის მოწინავეებს უშენენ ტყვიას.

**დასავლეთის და სამხრეთ დასავლეთის ფრონტები.** ენკენისთვის 9-ს მხოლოდ სროლა იყო.

**რუმინეთის ფრონტი.** ენკენისთვის 8-ს მტერმა რახოვეცის სამხრეთით გაზის ორი ძლიერი ტალღა გამოუშვა. ქარმა ტალღა უკან გააბრუნა. მუნჩელუს რაიონში სექტემბრის 9-ში 23 საათზე მტერმა ორჯელ მიიტანა რუსის ჯარზე იერიში, ორჯერვე მოიგერიეს.

**კავკასიის ფრონტი.** არსებით არა არის-რა.

**მფრინავთა მოქმედება.** ენკენისთვის 7-ს რამდენიმე საჰაერო ბრძოლა მოხდა სამხრეთ დასავლეთის და რუმინეთის ფრონტზე. ჩამოვაგდეთ სოფ. პაუკოში მტრის ერთი ჰაეროპლანი, 2 დავაზიანეთ.

**საფრანგეთის ფრონტი.**

**პარიზი.** ენკენისთვის 7. ოფიციალი. ფრონტზე არტილერიის ენერგიული მოქმედებაა.

**პარიზი.** ენკენისთვის 7. საღამოს ოფიციალი. გერმანელებმა სერნის სამხრეთ-აღმოსავლეთით მოიტანეს იერიშები, მაგრამ ჩვენ შევაჩერეთ.

**ინგლისის ბანაკის ცნობა.**

**ლონდონი.** ენკენისთვის 7. იპრის აღმოსავლეთით ინგლისელებმა მნიშვნელოვანი ასპარეზები დაიჭირეს.

**ინგლისის შეტევა ბელგიაში.**

**ლონდონი.** ენკენისთვის 8. იპრ-კომინის არხისა და იპრ-ოტალენის რკინის გზის შუა, იპრის აღმოსავლეთით, ინგლისელები ასპარეზებს აფართოვებდნენ. მათმა ჯარმა მეტად მნიშვნელოვანი ასპარეზები დაიჭირეს. ინგლისელებმა დაიჭირეს ინვერნეს ტყე, ხოლო ავსტრიელებმა—გლენკორსისა და ნონნებოშენის ტყეები. შოტლანდელ ბრიგადებმა და სამხრეთ აფრიკის ჯარმა ხელთ იგდეს ფერმები: პოტსდამი, ვამპირი და ბერრი, რამოდენიმე ალაგი სიბირის ფერმით და გალიპოლის გამაგრებული ასპარეზი. მარჯვენა ფრთამ კომინის არხის ჩრდილოეთით და ტოუვენისა და გამლეტის მიდამოებში ინგლისელებმა მიზანს მიაღწიეს. ფრონტის ცენტრში ჩრდილო ინგლისის ბატალიონებმა და ავსტრალიელ ჯარმა გერმანელთა ასპარეზებზე 1.600 მეტრით წაიწიეს: დაიჭირეს სოფ. ველდგეკი და პოლგონის ტყის დასავლეთი ნაწილი. ჩრდილოეთით მათ ხელში ზევეკოვი. ლონდონის და ირლანდიის ჯარმა მტრის ფრონტის მეორე ხაზი იგდეს ხელში—მათ ხელშია ფერმები: როზი, კვებეკი და ვურსტი. გამოდარების გამო ინგლისის მფრინავები აქტიურად მოქმედობდენ. მათი მტრის კონტრ-იერიშები მოგვაგერიებინეს. ტყვეების რიცხვი ჯერ გამოურკვეველია, მაგრამ 2.000 უნდა აღემატებოდეს. ინგლისელებმა ხელთ იგდეს აგრეთვე რამდენიმე ზარბაზანი.

**ლონდონი.** ენკენ. 9. გუშინ მტერს რამდენიმე კონტრ იერიშები მოუტანია, მაგრამ უშედეგოთ. დედატურის სამხრეთით დღეს ინგლისელთა ჯარმა კვლავ წინ წაიწია: ლივერპულისა და ლანკაშირის პოლკებმა სენჟიულენის დასავლეთით გამაგრებული ფერმა დაიჭირეს. ლანგემარკის დასავლეთით დღეს ინგლისელთა არტილერიამ მტრის კონტრ-იერიშები მოიგერიეს. გუშინდელ ტყვეების რიცხვი 3000 აღემატება.

# ახალი ამბავი.

**ქ უ თ ა ი ს ი.**

**სხდომა.** გუბერნიის აღმ. კომიტეტის სხდომა მოხდება ენკენისთვის 14. ამ სხდომაზე წაკითხულ იქნება მოხსენება სამოსწავლო კომისარიატის შესახებ.

**✦ სოფლის გამოყოფის შესახებ.** სოფ. იანეთს განუზრახავს გამოეყოს მეზობელ სოფელ ეწერს და დამოუკიდებლათ მოაწყოს სხვადასხვა დაწესებულებები, რაც უკვე უცნობებია სამტრედიის სარაიონო კომიტეტისათვის. გუბერნიის აღმ. კომიტეტმა განიხილა ეს კითხვა და იმ მოსაზრებით, რომ ამ ჟამათ სოფლის ცალკე გამოყოფა ისედაც გაღატაკებულ ხალხისგან ახალ ხარჯებს მოითხოვს გარდა ამისა მალე ჩვენში ერობა შემოიღება რომლის დროსაც საჭირო იქნება შეერთება-შეკავშირება არა დაცალკევება, დაადგინა, რომ აუკრძალოს სოფ. იანეთს გამოყოფა.

**✦ ხილეულების დამზადება.** გუბერნიის სასურსათო კომიტეტი გუბერნიის კომისარს სთხოვს, დახმარება აღმოუჩინოს მას გამხმარ ხილეულობის დამზადებაში, რომელიც საჭიროა ლაშქრისთვის.

**✦ თხოვნა.** ფოთის აღმ. კომიტეტი გუბერნიის კომისარს სთხოვს, რომ ფოთის მეორე რაიონის კომისარი თავისუფალი ჯარის კაცი მოლოდეცკი დასტოვონ თავის ადგილზე, რადგან იგი მეტათ კარგათ ასრულებს თავის საქმეს.

**✦ პროვაკატორის ჩამოყვანა.** სამეგრელოდან ჩამოიყვანეს პროვაკატორი ვლადიმერ გუნია, რომელიც ბაქოს ჟანდარმთა შორის თანამშრომლობდა.

**✦ ხელმოუწერელი წერილი.** გუბ. აღმ. კომიტეტს დედალოურის აღმ. კომიტეტის ბოროტ მოქმედების შესახებ ხელმოუწერელი წერილი მოუვიდა. აღმ. კომიტეტმა წერილი უყურადღებოთ დასტოვა.

**✦ ფულის მოთხოვნა.** ონის სამხედრო საბეგრო საკრებულო თხოულობს თანხას სამხედრო საკრებულოს შემადგენლობის დასაკმაყოფილებლათ.

**✦** ერთდროულათ 20.000 მან. თხოულობს ზუგდიდის აღმ. კომიტეტი.

**✦ ჯამაგირების მომატება.** დრ. მმართველობის დადგენილებით ქუთაისის გუბერნიის სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეთ თვიურ ჯამაგირზე 40—50 მან. მოემატებათ.

**✦ ცნობა.** ოჩემჩირის აღმ. კომიტეტი იუწყება, რომ იქ ყოველ გვარი ზომა არის მიღებული საერობო და სახაზინო გადასახადების შესაკრებათ.

**✦ დადგენილება.** სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეებმა დაადგინეს, რომ ენკენისთვის 25-დის თუ არ იქმნა დაკმაყოფილებული მათი მოთხოვნილება, 25-დან გაფიცვა დაიწყონ.

**✦ შეკითხვა.** ქუთაისის გარნიზონის მედიკურ-სანიტარული საბჭო ეკითხება გუბერნიის კომისარს, არსებობს, თუ არა ქუთაისის გუბერნიაში საგუბერნიო საექიმო სასანიტრო საბჭო.

**✦ საჩივარი.** სამიჯნო სამმართველოს გამგე გუბერნიის კომისართან ჩივის, რომ სოფ. სურებში გაგზავნილ მიწის მზომელ საბურდოს სოფ. ერკეთის კომისარი წინ აღუდგა და გამიჯვნას არ ასრულებინებს.

**✦ წერილებს უმარკოდ არ გაიგზავნება.** რუსეთის ჟენეველი კონსული იუწყება, რომ იქ ბევრი მოდის რუსეთიდან გაგზავნილი უმარკო წერილები, რაც დრ. მმართველობის განკარგულებით დღეიდან აიკრძალა.

**✦ სიძველეთა დაცვა.** შინაგან საქმეთა სამინისტრო გუბერნიის კომისარებს აუწყებს, რომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ თ-ვ თავის ოლქში ისტორიულ ნაშთების და არქეოლოგიურ მხატვრობის დაცვას.

**✦ ჟანდარმების თხოვნა.** ყოფილი ჟანდარმი ს. სენკო გუბერნ. აღმ. კომიტეტს სთხოვს, რომ იგი გაათავისუფლონ საპყრობილედან.

აგრეთვე ციხიდან განთავისუფლებას თხოულობს არჟ. იმედაშვილი.

**შეცდომის გასწორება.**

გუშინ ჩვენს გაზეთში ახალამბავში მოთავსებულ სამოსწავლო კომისარიატისადმი გამოგზავნილ დეპეშის ტექსტში გაგვეპარა შეცდომა. დეპეშაში სწერია შეჩერდეს მისაღები და გადასაყვანი გამოცდები უმცროსს მოსამზადებელ და საანბანო განყოფილებებში(-ო, და არა ყველა კლასებშიო, როგორც ჩვენ გვქონდა მოხსენებული.

**პ რ ო ვ ი ნ ც ი ა.**

დ. **სუჯუნა.** კვირას ენკენისთვის 10-ს აქ გაიმართა ქალთაკრება ლექციით. ლექცია წაიკითხა ქ-ნმა **კატო მიქელაძემ** შემდეგ თემაზე: „საჭიროა თუ არა დაარსდეს ქალთაკავშირები“ კავშირების დაარსება ერთ ხმათ სასურველად სცნეს, ამოირჩიეს გამგეობა, და პრეზიდიუმი. ორასი ქალი და კაცი უკვე ჩაეწერა კავშირის წევრათ.

— **ახალ სენაკი.** ენკენისთვის 8-ს ქ. ახალ სენაკში სასეირნო ბაღში გაიმართა მიტინგი სოციალდემოკრატების სახელით მიტინგს თავმჯდომარეობდა პოლიკარპე ლორთქიფანიძე (ქალაქის თავი სოც. დემოკრ.) მან მოკლედ განმარტა ეხლანდელი მომენტი შინაარსი. შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა ბ- თევზაიამ (სოც. დ.) ილაპარაკა მეგრულად. აგრეთვე მეგრულად ილაპარაკა ან. ანჯაფარიძემ. ეროვნულ დემოკრატების მხრივ ილაპარაკა ნიკო დგებუაძემ (მეგრულად). ახ შეიშო სკოლის ნაციონალიზაციას, განმარტა აგრეთვე მოკლედ ეროვნული კითხვა შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა მომენტის შესახებ [illegible] ჯარისკაცებს [illegible]. მიტინგი დასრულდა 3 საათზე.

— გადასახადების შესახებ. ენკენისთვის [illegible] სხვა და სხვა გადასახადი შეკრებილა 89 მან. და 50 კაპ.

# საქართველოს ეროვნული საბჭო

ჩვენში ყველა მომქმედ პოლიტიკურ პარტიის წამომდგენელთაგინ შესდგა საერთო შემათანახმებელი ცენტრი—**საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭო.**

ეროვნული ინტერპარტიული საბჭო მიზნად ისახავს რევოლუციის დაცვას და ქართველი ხალხის პოლიტიკ-ეკონომიურ კულტურულ-საზოგადოებრივ და საერთაშორისო საჭიროებათა დაკმაყოფილებას და გაძლიერებას. საბჭო აერთებს ერის ცოცხალ ძალებს და ხელს უწყობს ადგილობრივ ერთა თანხმობის და კავშირის დაარსებას დემოკრატიის და თავისუფლების გასამტკიცებლად. ეროვნული-ინტერპარტიული საბჭო უკვე შეუდგა მოქმედებას. ჰყავს თავისი აღმასრულებელი კომიტეტი.

ეროვნულ ინტერპარტიულმა საბჭომ პეტროგრადში 12 სექტემბრისთვის მოწვეულ დემოკრატიულ საბჭოზე დასასწრებლად აირჩია ნ. ჟორდანია, ა. ჩხენკელი ს. მდივანი და შ. ამირაჯიბი. ისინი საბჭოს სახელით სახელმწიფოებრივ თათბირზე დაიცვენ—ძალა-უფლების გადასვლას რევოლუციური დემოკრატიის ხელში. კონტრ-რევოლუციასთან მედგარ ბრძოლას, რესპუბლიკის დაცვას; დამფუძნებელი კრების სასწრაფოდ მოწვევას, დაუყონებლივ ზავის ჩამოგდებას, ერთა თვითგამორკვევას, საქართველოს ერევნულ-ტერიტორიალ თვითმართველობას, საერთოდ ყველა ერის პოლიტიკურ უფლებას და მათთან შეთანხმებით მოქმედებას დამფუძნებელ კრების მოწვევამდე.

საქართველოს ეროვნულ ინტერპარტიული საბჭოს დროებითი მისამართი: თბილისი, ფრეილინის ქ. № 12, სადეპუტატო საკრებულო შენობა.

**ეროვნული სასკოლო საბჭო.**

ამიერ-კავკასიის სამოსწავლო ოლქის კომისარიატმა და მასთან არსებულმა საბჭომ შეიმუშავა სკოლის ნაციონალიზაციის პროექტი. პროექტი ამ დღეებში დაამტკიცა ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტმა და საჩქაროთ ტარდება ცხოვრებაში. მაგრამ ნაციონალიზაციის სრული განხორციელება შეუძლებელია, თუ სათანადო ნაციონალური პროგრამები არ იქნება შემუშავებული ამ მიზნისთვის საჭიროა კომისარიატთან დაარსდეს ნაციონალური სასკოლო საბჭო, რომელმაც უნდა შეიმუშაოს ეროვნული სკოლის პროგრამები, განიხილოს დამზადებული სახელმძღვანელოები, შეიმუშაოს ტერმინები, იზრუნოს სკოლის ხელსაწყო ნივთების და წიგნების დამზადებისთვის და სხ. ნაციონალურ სასკოლო საბჭოს დასაარსებლად კომისარი მიმართავს ქართულ კულტურულ დაწესებულებებს და სთხოვს გაგზავნონ ორი-სამი დელეგატი, რომელთა არჩევის დროს მხედველობაში უნდა იქონიონ, რომ სასკოლო საბჭოსათვის საჭირონი იქნებიან სპეციალისტების სხვა და სხვა საგნებისა: ლიტერატურის, ისტორიის, ბუნების-მეტყველების, მათემატიკის, გეოგრაფიის, ენებისა და სხვ.

პირველი კრება დანიშნულია პარასკევს, 15 ენკენისთვეს, საღამოს 7 საათზე. ქ. შ. წ.-კ. გამავ. საზოგადოების კანცელარიაში.

# სარევოლუციო კომიტეტის

**კითხვა თბილისის მუშ. და ჯ. ქ. საბჭოში.**

ენკენისთვის 6-ს შეერთებული კრება ჰქონდათ თბილისის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებს და, იქონია რა მხედველობა თანამედროვე მდგომარეობის შესახებ, კრებამ შემდეგი დადგენილება გამოიტანა 1) მიუხედავად კერენსკის ბრძანე ისა იმის შესა-

ხებ, რომ კორნილოვის გამოსვლის წინააღმდეგ საბრძოლველად დროებით შემდგარი ორგანიზაციები ეხლავე უნდა დაიშალონო, არ დაიშალონ ეს ორგანიზაციები და თავიანთ ადგილს დარჩენ; 2) ყველა წევრის თანხმობით, გარდა ერთისა, გადაწყდა, რომ კავკასიის დროებითი რევოლუციის კომიტეტი გადაკეთდეს სამხედრო კომიტეტად და აღჭურვოს სრული უფლებით, 3) კომიტეტში წევრებად უნდა შედიოდნენ მხოლოდ სოც. დემ. და სოც.-რევ. პარტიების წარმომადგენელნი სულ 7—8 კაცი; 4) კომიტეტის შედგენის დროს უარყოფილი უნდა იქნას ეროვნული პრინციპი; 5) კომიტეტის წევრთა სია დამტკიცებულად წარედგინება საოლქო ცენტრებს და შემდეგ დროებით მთავრობას; თუ მთავრობამ სია არ დაამტკიცა, საოლქო ცენტრს ამის შესახებ თავის დროზე ექნება მსჯელობა; 6) დაევალოს პეტროგრადის დემოკრატიულ კრებაზე გაგზავნილ დელეგატებს იშუამდგომლონ დროებითი მთავრობის წინაშე, რომ მან სია დაამტკიცოს; 7) ეკონომიურ და პოლიტიკურ მოსაზრებით კომიტეტის მოქმედება ჩრდილო კავკასიაზედაც უნდა გავრცელდეს; 8) გადაწყვეტა კითხვისა იმის შესახებ, ოსმალეთის დაპყრობილ ადგილებზე გავრცელდეს კომიტეტის მოქმედება თუ არა, მიენდოს საოლქო ცენტრს.

სოც. ფედერალისტთა პარტიის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კომიტეტიდან გამოტოვებული არ უნდა ყოფილიყვნენ დანარჩენი სარევოლუციო პარტიებიც, ყოველ შემთხვევაში სათათბირო ხმის უფლება მაინც უნდა ჰქონოდა მათ.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

### გერმანეთის სოციალ-დემოკრატები.

გერმანეთის სოც.-დემ. პარტიის ცენტრალ კომიტეტის ანგარიში, ვიურცბიურგის პარტეიტაგისთვის დამზადებული, შემდეგნაირად გვიხატავს პარტიის მდგომარეობას. ომამდე შეკავშირებულ წევრთა რიცხვმა 75 პროცენტით იკლო. 1 მილიონ 85 ათას წევრის მაგიერ მხოლოდ 243 ათასი დარჩა; პარტიაში ჩაწერილ ქალების რიცხვი 174 ათასიდან 66 ათასამდე ჩამოვიდა. პარტიულ გაზეთებს მილიონ ნახევარი ხელის მომწერი ჰყავდა და ეს რიცხვიც განახევრდა. პარტიულ კასას უკანასკნელ საანგარიშო წელიწადში 375 ათასი მარკა დეფიციტი ჰქონდა, რაც სამარაგო თანხიდან დაჰფარეს.

### მინისტრთა კაბინეტის პროექტი.

სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის აღმასრულებელ ცენტრალ კომიტეტის მემარცხენე ფრთამ მინისტრთა კაბინეტის შემდეგი წინასწარი სია შეადგინა: მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე—კერენსკი ან წერეთელი, შინაგან საქმეთა მინისტრი—ავქსენტიევი ან პეშეხონოვი, სამართლისა—მალიანტოვიჩი, შრომისა—სკობელევი, მზრუნველობისა—გეგეჭკორი ან ზენზინოვი, სამხედრო—ვერხოვსკი, საზღვაო—ვერდერევსკი, საგარეო საქმეთა—წერეთელი, ფინანსებისა—ტვერდოხლებოვი ან ბოგოლეპოვი, მიმოსვლისა—ლივეროვსკი, სურსათისა—პროკოპოვიჩი, სახალხო განათლებისა—არხანგელსკი, ფოსტა-ტელეგრაფისა—ნიკიტინი, სარწმუნოებისა—მიაკოტინი, სახელმწიფო კონტროლიორი—ზარუდინი

### ძლიერი, პასუხისმგებლი მთავრობა.

„დელო ნაროდა" სწერს: ცალკე პირადული თვალთახედვით მმართველობის შედგენა, ვისი მხრივაც არ უნდა იყოს იგი, რუსეთისთვის დამღუპველია. საჭიროა ძლიერ მტკიცე მთავრობა, რომელიც კისრულობს აგებას მთელი სურსათის დემოკრატიის წინაშე.

### მოსალოდნელი შეტაკება.

„რუს. ვოლია", სწერს დემოკრატიულ თათბირზე ადვილათ შესაძლებელია, დემოკრატიას და მთავრობას შეტაკება მოუვიდეთ. ამ შემთხვევაში მთავრობა მტკიცეთ და მაგრათ უნდა იდგეს თავის პოზიციაზე, განაგრძოს ქვეყნის თავდაცვა და არ უღალატოს პირდაპირ დანიშნულება-მოვალეობას.

### შიში.

„დენ". აღნიშვავს იმ გარემოებას, რომ უკანასკნელ დროს მასას თან და თან დაეტყო მაქსიმალისტური მიდრეკილება, რაც მოსალოდნელია რევოლუციურ დემოკრატიის ბოლშევიზაციათ გადაიქცეს, ხოლო ეს გარემოება კიდიდ საფრთხეს შეუქმნის სუსტს და უბედურებას დაუყენებს რევოლუციას.

## ქუთაისის გუბ. აღმასრულებელ კომიტეტის კრება.

11 ენკენისთვე.

### მოხსენება კომისარების თათბირის შესახებ.

სხდომა გახსნა აღმ. კომიტ. თავმჯდომარის ამხანაგმა ბ-ნმა ვლ. ქუთათელაძემ. პირველათ მოხსენება გააკეთა გუბერნიის კომისარმა ბ-ნმა გრიგოლ გიორგაძემ, რომელიც დაესწრო თბილისში მომხდარ ამიერ-კავკასიის კომისარების თათბირს. კომისარმა სხდომას აუწყა, რომ თათბირზე განჯის, ერევნის და ბაქოს გუბერნიების წარმომადგენელნი სასურველათ სცნობდენ, რომ გუბერნიის კომისართა უფლება იმდენათ გაფართოვებულიყო, რომ მას დაქვემდებარებოდა საგუბერნიო აღმასრულებელი კომიტეტი. ამავე გუბერნიების წარმომადგენლები მოითხოვენ, რომ კომისარი კი არ აერჩიათ ადგილობრივათ, არამედ პირდაპირ ყოფილიყვნენ დანიშნული მმართებლობის მიერ. ხსენებული გუბერნიის წარმომადგენელნი ასეთ პროექტს იმ მოსაზრებით აყენებდენ, რომ მათ გუბერნიებში არ არის შემდგარი საგუბერნიო, სამაზრო და სარაიონო კომიტეტები, და ამის გამო შეუძლებელი ხდება კომისარის არჩევნების მოხდენა. პროექტს კრება წინ აღდგომია და კომისარების არჩევნებისთვის შემდეგი წესი მიუღიათ.

1. გაუქმდეს კოლეგიალური კომისარები და საქმეს განაგებდეს 1 კომისარი; 2. გუბერნიის კომისარი უნდა ინიშნებოდეს ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტის მიერ; 3. მაზრის კომისარიც იმავე კომიტეტის მიერ ინიშნება, მაგრამ კანდიდატი უნდა წარმოადგინოს გუბერნიის კომისარმა 4. სარაიონო კომისარს ნიშნავს გუბერნიის კომისარი, მაგრამ კანდიდატი უნდა წარმოადგინოს მაზრის კომისარმა 5. სოფლის კომისარს ირჩევს სასოფლო ყრილობა და ამტკიცებს მაზრის კომისარი. შემდეგ კომისარი შეეხო მილიციის მოწყობის საქმეს. როგორც კომისარმა გადმოსცა სხდომას, ყოველგვარ სამილიციო პროექტის დასამტკიცებლათ და განსახილველათ თხოულობენ პეტრეს ქალაქში უკანასკნელათ შემუშავებული წესის მიხედვით მილიციის ორგანიზაცია შემდეგნაირათ უნდა მოეწყოს. ამდენ ხანს არსებობდა საგუბერნიო მილიციის ინსპექტორის თანამდებობა. ახლა ეს თანამდებობა გაუქმდება და დარჩება სამაზრო მილიციის გამგებლობა, რომელსაც ინსპექტორობას გაუწევს მაზრის კომისარი.

სოფლის თავდაცვითი მილიცია შესდგება შემდეგნაირათ: ყოველ სოფლის საზოგადოებაში თითოეულ 20 მოსახლეს მიეცემათ ერთი|თოფი თავდასაცავათ და თუ სოფელი შესაძლებლათ და საჭიროთ დაინახავს ჯამაგირსაც მისცემს ამ ერთ კაცს, რომელსაც თოფი ებარება. გუბერნიის კომისარმა აცნობა კომიტეტს, რომ ამჟამათ ხაზინაში გადადებული არის 80,000 მანეთი. საერობო გზები განზრახულია კრები შეკეთდეს ბრძოლის ასპარეზის მახლობლათ. ამის გამო ქუთაისის გუბერნიას, რომელიც ფრონტზე ასე თუ ისე დაშორებულია, ხოლო თითონ, საერობო გზები კი დიდათ საჭიროებენ პატრონობას, კომისარს წინადადება წარუდგენია, რომ ხსენებულ თანხიდან ქუთაისის გუბერნიასაც ერგოს ნაწილი, რადგან ქუთაისის გუბერნიის საერობო გზებიც მეტათ საჭირონი არიან ლაშქრისთვის, რომ ვინაიდგან ჯარის სახქაროთ ამოძრავება და გადაყვან-გადმოყვანა შეიქმნეს საჭირო უვარგისი საერობო გზების წყალობით ეს ვერ მოხერხდება და ამიტომ აუცილებელია ქუთაისის გუბერნიის საერობო გზებსაც მიექცეს ყურადღება და გაღებულ იქნას მით გასაკეთებლათ თანხა წინადადება მიუღიათ და როგორც თვითონ განაცხადა ნახევარ თანხიდან ქუთაისის გუბერნიის საჭიროებისათვისაც გადასდებენ ფულს.

### ე რ ო ბ ა.

გუბერნიის კომისარი შეეხო იმ კითხვას, რომ მოკლე ხანში ჩვენში შემოიღება ერობა.

რის გამოც აწინდელ ადგილობრივ მართველობის სრული რეორგანიზაცია იქნება საჭირო. ერობის შემოსაღებათ ამჟამათ თბილისში უკვე სწარმოებს მუშაობა.

### ადგილობრივ მმართველობა სხვადასხვა ადგილებში.

გუბერნიის კომისარმა აღნიშნა კომისარების თათბირზე როგორც გამოირკვეულა ქუთაისის გუბერნიას ადგილობრივ მმართველობის მოწყობის მხრით პირველი ადგილი დაუკავებია, ქუთაისის გუბერნიაში უკვე ყველგან არსებობს აღმასრულებელი კომიტეტები მტკიცე ორგანიზაცია; რაც შეეხება სხვა ადგილებს, მაგალითად ბაქოს, ერევნის და განჯის გუბერნიებში ჯერ არც კი დაუწყიათ აღმ. კომიტეტების შედგენა და ახალი წესით არჩევნების მოხდენა. თვით თბილისის გუბერნიაშიც კი არ არის კომიტეტები ყველგან შემდგარი. ამის გარდა დასავლეთ საქართველოში ადგილი არა ჰქონია ანარქიულ გამოსვლებს და ხალხი რევოლუციურათ არის განწყობილი. დასასრულ კომისარმა სთქვა, რომ საზოგადოთ კომისარების თათბირზე განწყობილება გამოურკვეველი და არა სასურველი იყოს. განსახილველი საგნებიც კი ვერ შეემუშავებიათ ხეირიანათ.

### სვანეთის შესახებ

ივლისის 27-ს სვანეთში მომხდარ უწესოების გამო საგუბერნიო აღმ. კომიტეტმა გაჰგზავნა 5 კაცისგან შემდგარი ექსპედიცია. აღ. თორაძე, ამ. სვანაძე, ჯუღელი, გელოვანი და ს. ჭელიძე. ექსპედიცია იყო ზემო და ქვემო-სვანეთში. აგვისტოს 15-ს დაბრუნდა ქუთაისში და სვანეთის ამბების ვითარება შემდეგ ნაირათ გადმოსცა საგუბერნიო აღმ. კომიტეტს. „სვანეთში მთელი უსიამოვნება მომხდარა ოსებთან საქონლისთვის შედავების გამო. ოსებს ჰყოლიათ ნაქურდალი საქონელი. ჩეჩნებისთვის მოუპარავთ რაც სვანებს შეუსყიდნიათ· მაგრამ ოსებს მოგება ვერაფერი უნახავთ და სვანებს წაჩხუბებიან, რომ საქონელი უკანვე დაებრუნებიათ. ამ ნიადაგზე მომხდარა შეტაკება, ოსებს რამდენიმე სვანი ტყვეთ წაუყვანიათ ერთი შეტაკების დროს მოკლულა.

ბოლოს ისე მომხდარა, რომ თვითონ მოქიშპეთ აუცილებლათ უცვნიათ მორიგება და მეგობრობა მეზობლობის აღდგენა. ამ მიზნით ორივე მეტოქე მხარეს შეუდგენია შემრიგებელი კომისიები. საგუბერნიო აღმ. კომიტეტის წარმომადგენლობას სოფლის საზოგადოების სხვადასხვა ნაწილებში გაუმართავს ყრილობა და ხალხისთვის აუხსნია დღევანდელ რევოლუციურ მომენტის მნიშვნელობა, თუ როგორი განწყობილება არის საჭირო საერთო კეთილდღეობისთვის. სვანები ყველგან სიხარულით შეგებებიან წარმომადგენლებს, და გახარებიათ, რომ მათ საგუბერნიო აღმ. კომიტეტმა ყურადღება მიაქცია, კვირიკეს ხატზე (ჩვეულებისამებრ) ფიცის დაუდევთ რომ ამიერიდან შურს, მტრობას და უწესოებას სვანეთში, როგორც მეზობლებთან ისე ურთიერთ შორის ადგილი აღარ ექნება.

წარმომადგენლობამ აღნიშნა რომ სვანეთი უგზოობით მეტად შევიწროებული და შეწუხებულია. სვანეთის ხალხის დაწინაურებისთვის და განათლებისთვის მიუცილებელ პირობას წარმოადგენს გზების მოწყობა სვანეთში ფოსტა იგვიანებს ორი თვით. ლიტერატურა და გაზეთები ხალხს არ მოსდის. რაც შეეხება სამხედრო ბეგარას, თითქოს სვანები გაურბოდენ ჯარში სამსახურს, მართალი არ გამოდგა. ექსპედიციის შემადგენლობამ განაცხადა რომ სვანებმა ითხოვეს შეღავათის მიცემა მხოლოთ ენკენისთვის ბოლომდის. რათა საშვალება მისცემოდათ ქირნახულის შესაკრებათ, რისთვისაც შუამდგომლობა აღძრეს აკაკი ჩხენკელის წინაშე. დაადასტურა გუბერნიის კომისარმა.გუშინწინ გუბერნიის კომისართან მისულა სვანების წარმომადგენელი და შეუტყობინებია, რომ სვანები მზათ არიან ამ თვის გასულიდან ჯარში გამოცხადდენო. წელს სვანეთში რამდენიმე სოფელი დაუხარალებია სეტყვას რის გამო მოსავალი ძლიერ გაფუჭებულია. სოფლები თხოულობენ დახმარებას, დახმარებას თხოულობს სამი დიდი დაზარალებული სოფელი (30 ათას მანეთს) წარმომადგენლები შეეხენ აგრეთვე იმას რომ ზემო სვანეთში კომისარს ჯაფარიძეს მთელი ხალხი ნდობით არ უყურებს და არ ემორჩილება, ეს აიხსნება იმით, რომ ჯაფარიძე არის ამაჯ აზნაურთა გვარის ჩამომავალი, გარდა ამისა იგი ძლიერ ახალგაზდაა აკლია გამოცდილება, რის გამოც უმჯობესი იქნებოდა, რომ იგი სხვა ადგილას იქმნას გადაყვანილიო. ქვემო სვანეთში ყოფილან ათ-დი გარდაფხაძეები რომლებიც მუდამ მოუსვენრათ არიან და ხალხს აღელვებენ. უკანასკნელ დროს ცნობა იყო, რომ გარდაფხაძეებმა შავი რაზმი შეადგინეს, კომისარს ესროლეს და მსროლელს თავის ციხეში მალავენო. ამის შესახებ გუბერნიის კომისარმა, სთქვა, რომ ეს ხმა მართალი არის, გარდაფხაძეები მუდამ იყვენ კონტრ-რევოლუციურათ განწყობილნიო. კომისარის დეპეშით უაუბარებია ერთი გარდაფხაძე მასთან უსაუბრნია და გაუფთხილებია.

### სასამართლოს საქმე.

ქუთაისის ოლქის სასამართლოს შესახებ ილაპარაკა ამავე სასამართლოს დროებითმა თავმჯდომარემ ბ-ნმა დავიდოვიჩმა. იგი შეეხო იმას, თუ რას ნიშნავს რას წარმოადგენს რევოლუციის დროს სასამართლო და როგორი უნდა იყოს იგი. დავიდოვიჩის სიტყვიერ მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ამ ჟამათ ქუთაისის ოლქის სასამართლოს საქმე უაღრესათ უნუგეშო და ცუდია-სასამართლოს ნაციონალიზაცია არ მოხდა, მაგრამ ამას, რომ თავი დავანებოთ ჩვენ რომ სასამართლოში ამა თუ იმ თანამდებობაზე ქართველებს ვირჩევთ იმას თბილისის სამოსამართლო პალატის უფროსი ჩერმიშევი არ ამტკიცებს და იძახის, რომ ის პირადათ დიდი მეგობარია კერენსკისა, მას (ჩერმიშევს) ყველაფერი მიეტოვება და სხვა. ამის გამო დღემდის ქუთაისის ოლქის სასამართლოს არ ჰყავს პროკურორი და სხვა თანამდებობის პირნი. დავიდოვიჩმა სთქვა, რომ ნიკიტინი (ქუთაისის ოლქის სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე) ჯერაც არ წასულა საქართველოდან; და როდესაც იუსტიციის მინისტრს დეპეშს უგზავნის, ქვეით ასე აწერს, „ქუთაისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარეო. მას წინადადება მიეცა რომ დაეტოვებია ქუთაისი რაზედაც მან გვიპასუხა: „მე მივდივარ თბილისში ჩემს პირად საქმეების მოსაწყობათ სჩანს იმ კაცს, რომელიც ძველი მთავრობისგან აქ გამოგზავნილი იყო ხალხის საწამებლათ დღეს კიდევ საშვალება აქვს თავისი საქმეები მოიწყოს აქ სასამართლოს შესახებ საგუბერნიო აღმ. კომიტეტის შემადგენლობის მიერ შემდეგი მოსაზრება იქნა მიღებული: მოითხოვოს თბილისის სამოსამართლო პალატის თავჯდომარეს ჩერმიშევს, რომ მან დაუყონებლივ დაამტკიცოს სასამართლოს ამა თუ იმ თანამდებობაზე ესა თუ ის პირნი. მხურვალე პროტესტი გამოეცხადოს მას და ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტს ძველი გზით სიარულისათვის სთხოვოს ამიერ კავკასიის რევოლუციურ კომიტეტს მიიღოს სასტიკი ზომები იმათ წინააღმდეგ ვინც განახლების და გარდაქმნის საქმეს ხელს უშლის ახლავე დაიწყოს ქუთაისის ოლქის სასამართლოს რეორგანიზაცია. ამ მოსაზრებას შეუერთდენ მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს წარმომადგენელნი თბილისში წასადგენ მოთხოვნილების შედგენა მიენდო საგუბერნიო აღმ. კომიტეტის პრეზიდიუმს იყო სხვა საყურადღებო კითხვები მაგრამ მათი გარჩევა ვერ მოესწრო.

კრება დასრულდა ღამის საათის 11-ზე.

## ქართველ მასწავლებელთა კრება.

დასავლეთ საქართველოს ქართველ მასწავლებელთა კავშირის შეერთებული სხდომა მოხდა აგვისტოს 26—30 რიცხვებში.

„ჩვენი მეგობრის" 436 № ში ვკითხულობთ: „სალვთო სჯულის სწავლების საკითხმა გამოიწვია კამათი. უმრავლესობა მოითხოვდა, თანახმათ დრ. მთავრობის დადგენილებისა, ეს საგანი დარჩენილიყო არა სავალდებულო საგნათ, რაც ხმის უმეტესობით გადაწყდა და ვარაუდით კვირაში გადაიდო ამ საგნის შესწავლის მსურველთათვის ერთი ბოლო გაკვეთილი·

საეკლესიო კანონით, არც ძველ მთავრობას ქონდა და ახალ მთავრობასაც არა აქვს უფლება და ნება, რომ სალვთო სჯულის შესახებ განაჩენი დასდოს, ან მოსპოს მისი სწავლება, ან შეამოკლოს წირვა-ლოცვა, ან მოუმატოს რამე. მაგრამ ძველმა თვითნება მთავრობამ სალვთო და საერო კანონები თვითნებობით მიისაკუთრა. თვით ერის დაუკითხავათ მისი გაუმაძღარი მადის დასაკმაყოფილებლათ თავის ნებაზე სცვლიდა კანონებს. საეკლესიო უქმეები შეამცირა; სამეფო და მისი სახლობის დაბადების და ყოველი ფეხის გადადგმის საათს სალვთო დღესასწაულათ აცხადებდა და მის უქმობას საქვეყნო სავალდებულოთ თვლიდა; ამგვარ მათ უქმეებზე ყოველ ქალაქის დუქან მაღაზიებს კეტავდენ, წითელ ბაირაღებით ამკობდენ და ძალით ადღესასწაულებდნენ ხალხს!... ამგვარ საეკლესიო უქმეების დამცირებას და სამეფო დღესასწაულების გამრავლებას, ჩვენი წმინდა სინოდი ტაშს უკრავდა და თვითაც ზეიმით დღესასწაულობდა.

ახალ მთავრობას ეს ძველი წესი ახლავე და [illegible] უცვლელ კანონთა მიხედვით, ამიტომ [illegible] კანონი [illegible] ლათ, რომ სალვთო სჯულის სწავლება ნუ იქნება კლასებში სავალდებულოო. რომ ეს განკარგულება სასულიერო და საერო მართებლობის შეერთებულ კრებას გადაეწყვიტა, შეიძლებოდა დროს შესაფერ და მ.ხან-შეწყობილათ მიჩნეული იყო, მაგრამ სალვთო საგანზე მარტო საერო მართებლობის კერძო განაჩენი სასულიერო კანონს არ შეესაბამება.

ჩვენმა მასწავლებლებმა ეს ახ. მთავრობის განკარგულება უფრო გადააუკუღმართეს და მით უფრო საკვირველია:

„ამ საგნის შესწავლის მსურველთათვის გადაიდო კვირაში ერთი ბოლო გაკვეთილიო".

როგორ მსურველთათვის?! რომელი ბავში იტყვის მეხუთე გაკვეთილზე დამტოვეთო, თუ მის ნებაზე იქნება? ვთქვათ, დარჩა მეხუთე გაკვეთილზე ათიოდე მოწაფე მსურველი და ვინც გაკვეთილზე არ რჩება, ისინი სიცილს არ დააყრიან მათ ვინც გაკვეთილზე რჩება და იმათში სადაო საგნათ არ შეიქნება ეს ამბავი?

კიდევ საკვირველი! „კომისიამ გამოთქვა სურვილი, სალვთო სჯულის სწავლება გადავიდეს ერის კაცის ხელში; მღვდელი, რომელიც მსახურებს მრევლში და დატვირთულია საქმეებით არც ერთი საგნის მასწავლებლათ არ უნდა იქნეს დანიშნული". აი რა მოგახსენოთ: ქრისტიანი მშობლების შვილებს, არც მღვდელი უნდა დავანახოთ თვალით, არც სავალდებულოთ გაუხადოთ იმის ცოდნა, ქრისტიანია თუ სხვა სჯულის, არც ღვთის სახელი გავაგონოთ, არამედ თუ ბავშმა მოისურვოს, ერის კაცმა აუხსნას ღმერთი და ქრისტიანული წესი ისე, როგორც მას მოეპრიანება... თუ ეს აზრი არ გამოდის ასე ამ დადგენილებაში, ამის თქმა გულწრფელი მკითხველისათვის მიგვინდვია.

სალვთო სჯულის შესახებ მშვენიერი დადგენილება გამოიტანა სრულიად საქართველოს სასულიერო სასწავლებლების მასწავლებელთა ყრილობამ ქუთაისში და რომ ის დადგენილება მიეღო ამ მასწავლებელთა კრებასაც უფრო დროული იქნებოდა და არა ის, რომ მღვდელი სასწავლებელს არ მიეკაროსო. ჩემის რწმენით ეს სჯულისა და სარწმუნოების აგდებაა!

**რაჟდენ ხუნდაძე.**

## ჩარჩ-ვაჭართა ოინები და ჩვენებური მომხმარებელი საზოგადოებები და და საკრედიტო ამხანაგობები.

ბატ. ილია ფერაძის წერილის გამო (იხ. „საქართველო" № 121.)

თავის წერილში ბ-ნ ილია ფერაძე დიდის მწუხარებით აღნიშნავს იმას, თუ სოფელ ნებოძირის (ზემო-იმერეთი) მცხოვრებთათვის სურამის ჩარჩებს ჩალის ფასათ როგორ დატყუებიათ მოცვის ჩაი და თითონ კი 60—100 მანეთათ გაუყიდიათ ფუთი, რის ბარობითაც დიდი დავა ამტყდარა მყიდველ-გამყიდველთა შორის და საქმე სასამართლომდისაც კი მისულა. და განა ამას ეს სოფლის წურბელები მარტო სოფ. ნებოძისში სჩადიან?.

განა ისინი მუდამ ასე არ იქცეოდენ და იქცევიან ახლაც მთელ საქართველოს სოფლებში?!.. და რა გამოსარჩენ სავაჭროს დაასახელებ კაცი, რომ ეს სოფლის ობობები ხელში არ იგდებდენ და საწყალ ხალხს ჯერეთ ფასში და მერე კიდევ წონა-ზომაში არ ატყუებდენ.

ამ 2—3 წლის განმავლობაში წმინდა თაფლის სანთლის ცვილის ფასმა 20 მანეთიდან 140 მანეთამდე აიწია; ეს ჩარჩბაცაცები სოფლელთაგან სულ მუქთათ ყიდულობენ სანთლის ცვილს და მერე, თუ აქვე არ აიღეს ერთი ორათ და ზედმეტი ფასიც, შიდა რუსეთის გუბერნიებში გზავნიან და ჩვენი ეკლესიის სანთლის ვაჭრობას ხელცარიელზედ სტოვებენ, რითაც დიდს ზარალს აყენებენ...

აგრეთვე იქცევიან აბრეშუმის ძაფის, თუ ქსოვილის (ქ. ქუთაისში სოფლელებს შემოაქვთ ერთნაირი აბრეშუმის ძაფის ქსოვილი, რომელსაც დარაიას ეძახიან) სყიდვა-გაყიდვაში და მრავალ სხვაშიდაც; მაგალ. ამ ჟამად როგორც ჩარჩებისაგან შევიტყვე, მათი ამხანაგები საქართველოს დაბა სოფლებში არიან მოდებულნი თხილის, ნიგვზის, დაფნის ფოთოლის, სანთლის ცვილის და სხვა

ამისთანების საყიდლათ სულ მუქთ ფასებში და ან დამპალ კოჭა-ლარებში და სხვა უვარგის ნივთებში გაცვლაში. რითაც ხალხს დიდს ვნებასა და ზარალს აყენებენ...

და ვინ უნდა იხსნას ხალხი ამ დიდი ზარალისაგან! ვინ და საკრედიტო ამხანაგობებმა და მომხმარებელმა საზოგადოებებმა, რომელთაც თვითონ უნდა შეისყიდონ ჩვენებური მწარმოებლებისაგან დამზადებული საქონელი ღირებულ ფასებში და მერე უნდა მიაწოდონ იქ, სადაც მათ გასავალი და ან ღირებული ფასები ექნება, რითაც ხალხს დიდს სიკეთეს შესძენენ და ამხანაგობებსაც მოგებას მოუტანენ. ამისათვის დროა ამ ამხანაგობებმა ამ ნაირ საშუამავლო ოპერაციებს მიჰყონ ხელი და ამით ერთხელ და სამუდამოთ ჩვენი ხალხი იხსნან ჩარჩვაჭართა შეუბრალებელ დაუზოგველობისაგან...

**მღვდ. ვლ. მაჭარაშვილი.**

# მოწერილი ამბები.

## გურია.

„საწყალ კაცს ქვა აღმართში მოეწიაო“—სწორედ ასე ითქმის ახლა გურიაზე. მოუსავლობა, მუშა ხელის ნაკლებობა და საშინლად მოდებული საქონლის ჭირი დიდ გაჭირვებაში აგდებს ხალხს. საქონლის ჭირთან საბრძოლველად მოწვეული ბეითლები ვერაფერს გახდენ.

თხილის მოსავალი გურიაში წელს ძალიან კარგი იყო. იშვიათად შეხვდებით ოჯახს, რომ 50—100 ფუთი თხილი არ მოუდიოდეს წლიურად. თხილის ფასი პირველ ხანებში ძალიან ნაკლები იყო: 8, 9, 15 მან. ახლა კი 30—40 მანეთამდე ავიდა. ასე ჩქარა ფასის მომატებამ ხალხის ყურადღება მიიპყრო. შეიქნა სოფლებში მოლაპარაკება, კრებები და დაადგინეს, თხილი მანამ არ გაიტანონ ბაზარზე, სანამ წინედ ნაყიდ თხილზე ფასს არ მოუმატებენ. ვაჭრები ასე უპასუხებდენ: „კარგი, ახლა ჩვენ ვიგებთ და, რადგან მოვიგეთ, ფულს გვთხოვთ, მაგრამ, რომ წაგვეგო, მაშინ ამ წაგებას გაიზიარებდითო“?—ხალხი უპასუხებს: „არა, თქვენ ჩარჩები ხართ, ადგილობრივ პირი შეკარით, დაიწყეთ თხილის ყიდვა დაბალ ფასებიდან, დაყარეთ ხმები, წელს თხილს ფასი არ ექნებაო,“ არც ბაზარზე შეიძლება გატანაო, სხვა გარეშე ვაჭრები არ შემოუშვით, ჩაგვიჭირეთ ხელში და მოგვატყუილეთ. არა, ეხლა ვერ მოგვართვით! რასაკვირველია, შენც მოიგე, მაგრამ ნურც ჩვენ გაგვყვლეფთო“. ხალხის ჩივილმა ზოგიერთებზე უკვე იმოქმედა, ფუთზე რამოდენიმე მანეთი მოუმატეს.

ხმელი პარკის ფასი 300—400 მან. ავიდა ფუთზე.

თუთუნში თავიდანვე 120 მან. იძლევიან ფუთში, მაგრამ თხილის „ამბების“ გამო ეხლა უფრო დაკვირვებით იქცევიან გამყიდველები.

საერთოთ ამ თხილით, პარკით და თუთუნით დიდი ფული დატრიალდა გურიაში,—მაგრამ გურული გლეხი ასე ლაპარაკობს: „რათ მინდა აი შენი ფული, რა ვჭამო, რა ვსვა, თუ არც მე და არც ჩემ მეზობელს ნალიაში ერთი ტარო სიმინდი არ მექნა და ჭურში ერთი „კაპლი“ ღვინოო“? მართლაც და ვენახს წელს სულ არ ასხია. ამიტომ ღვინო ძალიან გაძვირდა. უბრალო ადესა, რომელიც წინათ ექვს აბაზად და ორ მანეთად ღირდა, ახლა კი 15 მან. ფასობს.

ს. ჯვარცხმის კოოპერატივის გამტეხი ჯერ კიდევ ვერ ამოაჩინეს. **ტ.**

# საქართველოს ეკლესიის ორგანიზაცია

## საზოგადო დებულებანი

§ 1. საქართველოს ეკლესია არის „ერთის წმიდის კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიის“ საფუძველზე დამყარებული სარწმუნოებრივი საზოგადოება, რომელსაც შეადგენენ ყველა მართლმადიდებელნი ქართველნი და აგრეთვე თავისი სურვილისამებრ ის მართლმადიდებელნი არა ქართველნიც, რომელნიც საქართველოს ძველი საკათალიკოზოს საზღვრებში ცხოვრობდენ.

**შენიშვნა.** მართლმადიდებლობითი სარწმუნოების მიღება მორწმუნის საკუთარ სინდისზეა დამოკიდებული; ხოლო რამდენადაც საქმე ბავშვებს შეეფერება, ეკლესიის წევრათ მათი მიღება თუ იქიდან გაყვანა მშობლებისა და მზრუნველების საქმეა.

§ 2. საქართველოს ეკლესიის მიზანია მისი წევრების სარწმუნოებრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება და მათი ზნეობრივი სრულყოფა ქრისტეს მცნების თანახმად: „იყვენით თქვენ სრულ, ვითარცა მამა თქვენი ზეცათა სრულ არს“ (მთ. V, 48).

§ 3. საქართველოს ეკლესია დამოუკიდებელია სხვა ავტოკეფალ ეკლესიისაგან, ესე იგი ჰყავს დამოუკიდებელი იერარქია, სარგებლობს საკუთარის კანონმდებლობისა სამართლის უფლებით და აქვს განსხვავებული საეკლესიო ჩვეულებანი და სამღვდელო წესები.

§ 4. საქართველოს ეკლესია იპყრობს თვის წევრებს მხოლოდ სარწმუნოებრივზნეობრივის მხრით და მიზნად არა აქვს შეეხოს მათ როგორც წევრებს სახელმწიფოსას ან რომლისამე პოლიტიკურის ორგანიზაციისას. მზგავსადვე არც სახელმწიფო უნდა ერეოდეს ეკლესიის შინაგან წყობილებასა და ცხოვრებაში; სახელმწიფო ვალდებულია მხოლოდ უზრუნველჰყოს ეკლესიის წევრთა სარწმუნოებრივი თავისუფლება და მის დაწესებულებათა იურიდიული უფლებანი და მატერიალური მოთხოვნილებანი.

### მართვა-გამგეობა

§ 5. მართვა გამგეობის მხრით საქართველოს ეკლესია განიყოფა ეპარქიებად და ეპარქიები ოლქებად, ხოლო ოლქები სამრევლოებად.

§ 6. საქართველოს ეკლესიაში შემდეგი ეპარქიები:

ა) **მცხეთისა** (სამწყსო: დუშეთის მაზრა). კათედრა მცხეთაში—სვეტიცხოველში, რომლის მწყემსმთავარი არის „მთავარ ეპისკოპოსი მცხეთისა და სრულიად საქართველოს კათალიკოზ პატრიარქი“. კათალიკოზის რეზიდენცია თბილისშია. მასვე ექვემდებარებიან (პირდაპირ) საქართველოს ძველი საკათალიკოზოს საზღვრების გარეშე მცხოვრები მართლმადიდებელი ქართველებიც.

ბ) **ქუთაისისა** (სამწყსო: წყალწითელისა და ხონისწყლის ქვემოთ მდებარე ნაწილი იმერეთისა ანუ ქვემო იმერეთი). კათედრა ქუთაისში და მწყემსმთავრის ბინაც იქვე მწყემსმთავარი იწოდება „ქუთაისის მიტროპოლიტად“ ანუ მოკლედ „ქუთათელად“.

გ) **თბილისისა** (სამწყსო: თბილისისა და ბორჩალოს მაზრები). კათედრა თბილისში, რომლის მწყემსმთავარი ცხოვრობს თბილისში და იწოდება: „თბილისის მიტროპოლიტად“ ანუ მოკლედ: „თფილელად“.

**შენიშვნა.** თფილელი. როგორც კათალიკოზის უახლოესი ადგილობრივ მღვდელმთავარი, არის მოსაყდრე კათალიკოზისა.

დ) **ჭყონდიდისა.** (სამწყსო: სენაკისა და ზუგდიდის მაზრები). კათედრა მარტვილში, ხოლო ეპისკოპოზის რეზიდენცია ახალსენაკში (ან მარტვილშივე?). მღვდელმთავრის წოდება: „ჭყონდიდელი“.

ე) **ალავერდისა** (სამწყსო: თელავისა და თიანეთის მაზრები). კათედრა ალავერდში, ხოლო ეპისკოპოზის ბინა თელავში. მღვდელმთავარი იწოდება: „ალავერდელად“.

ვ) **გენათის** (იმერეთის ნაწილი წყალწითელისა და ხანის წყლის ზემოთ ანუ ზემო იმერეთი). კათედრა გელათში, ხოლო ეპისკოპოსის ბინა ქალაქ ზესტაფონში. მღვდელმთავარი წოდება: „გენათელი“.

ზ) **ბოდბისა.** (სიღნაღის მაზრა და ზაქათალის ოლქი). კათედრა ბოდბეში, ხოლო ეპისკოპოსის მუდმივი ბინა სიღნაღში. მღვდელმთავარი იწოდება „ბოდბელად“.

ც) **ჯუმათისა** (ოზურგეთის მაზრა, ბათუმის მხარე და საერთოდ ჭოროხის ხეობაში მცხოვრები მართლმადიდებელი ქართველობა). კათედრა ჯუმათში, ხოლო ეპისკოპოსის რეიდენცია ბათუმში. მღვდელმთავრის სახელწოდება: „ჯუმათელი“.

თ). **აწყურისა** (ბორჯომის ხეობა, ტაშისკარის ზემოთ, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები, აგრეთვე ყარსის ოლქსა და არდაგანის მხარეში მცხოვრები მართმადიდებელი ქართველები). კათედრა აწყურში (დროებით ზარზმაში), ხოლო ეპისკოპოსის ბინა ახალციხეში, მღვდელმთავრის წოდება „მაწყვერელი“.

ი). **ცხუმისა** ან სუხუმისა (სამწყსო: სამურზაყანო და სუხუმის ოლქში მცხოვრები ქართველობა, აგრეთვე სურვილისამებრ აფხაზებიც): კათედრა და ეპისკოპოსის რეზიდენცია სუხუმში. მღვდელმთავარი იწოდება: „ცხუმელად“.

ია). **ურბნისისა** (სამწყსო: გორის მაზრა ტაშისკარამდე და სურვილისამებრ ამიერ კავკასიის ოსებიც). კათედრა ურბნისში, ხოლო ეპისკოპოსის წოდება: „ურბნელი“.

იბ). **ნიკორწმიდისა** (რაჭის მაზრა) კათედრა და ეპისკოპოსის ბინა ნიკორწმიდაში. მღვდელმთავრის წოდება: „ნიკორწმიდელი“.

იგ). **ცაგერისა** (ლეჩხუმი და სვანეთი). კათედრა და ეპისკოპოსის ბინა ცაგერში. მღვდელმთავრის წოდება: „ცაგერელი“.

**შენიშვნა:** ამ სიაში კათედრები მათი უპირატესობის მიხედვითაა დაწყობილი. ამ სიის შეცვლა და შევსება სრულიად საქართველოს საეკლესიო კრების კომპეტენციას ეკუთვნის.

§ 7. საქართველოს ეკლესიას მთლიანად და ნაწილობრივ (ეპარქიას, ოლქსა და სამრევლოს) განაგებენ კრებები (სრულიად საქართველოს ეკლესიისა, საეპარქიო, საოლქო და სამრევლო), რომელთაც აღმასრულებელ ორგანოებად ჰყავს საბჭოები (საკათალიკოსო, საეპარქიო, საოლქო და სამრევლო).

### ცენტრალური გამგეობა.

§ 8. საქართველოს ეკლესიას განაგებს სრულიად საქართველოს საეკლესიო კრება, რომელიც შესდგება სამღვდელოთა, მონაზონთა და ერისგანთა წარმომადგენელთაგან. თვითეული საეკლესიო ოლქი ამ კრებაზე ჰგზავნის ერთს მღვდელს, ერთს მთავარდიაკონს ან წიგნის მკითხველს და ორს ერისგან; მონაზონთაგან თვითეული ეპარქია ჰგზავნის ორს წარმომადგენელს: ერთს ბერმონაზონს და ერთსაც ქალ-მონაზონს; თითო წარმომადგენელს ჰგზავნიან აგრეთვე მთელი საკათალიკოზოს საეკლესიო სასწავლებლებიც. ამათ გარდა საეკლესიო კრების აუცილებელ წევრებათ ითვლებიან ყველა ქართველი მღვდელმთავრები.

§ 9. სრულიად საქართველოს საეკლესიო კრებას თავმჯდომარეობს კათალიკოზი, ხოლო, როცა იგი არ არის, მისი მოსაყდრე, და თუ მოსაყდრეც არ არის ერთერთი მღვდელმთავარი კრებისავე არჩევით. კრებავე აირჩევს პრეზიდიუმის დანარჩენ წევრებსა და მდივნებს. კრება არის ჩვეულებრივი—სამ წელიწადში ერთხელ და არაჩვეულებრივი—როცა საჭიროება მოითხოვს, კრებას იწვევს საკათალიკოზო საბჭო, კრება კანონიერია რამდენი წევრიც უნდა გამოცხადდეს.

§ 10. სრულიად საქართველოს საეკლესიო კრების კომპეტენციას ექვემდებარება: ა) ადგილობრივი საეკლესიო სამართალი; ბ) საბოლოოდ გარჩევა და გადაწყვეტა იმ საქმეებისა, რომელთაც მათ საკათალიკოზო საბჭო წარმოუდგენს: დ) არჩევა კათალიკოზისა, საკათალიკოზო საბჭოს და საკათალიკოზო სამართლის წევრებისა და ამათი კანდიდატებისა; ე) ახალი ეპარქიების გახსნა ან არსებულ ეპარქიათა საზღვრების გადამიჯვნა და კათედრების აღდგენა ან დაარსება; ვ) ზრუნვა სასულიერო სასწავლებელთა დაარსებისა და ნივთიერად უზრუნველყოფისათვის.

§ 11. საეკლესიო კრების აღმასრულებელი მუდმივი ორგანო არის საკათალიკოზო საბჭო. საკათალიკოზო საბჭო შესდგება რვა წევრისაგან ოთხი სასულიერონი (ორი მღვდელი, ერთი მთავარდიაკონთა ან წიგნის მკითხველთა წარმომადგენელი, ერთი მონაზონთა წარმომადგენელი) და ოთხი საერო. საბჭოს წევრს საეროთაგანს უნდა ჰქონდეს მიღებული მაღალი განათლება, ხოლო კრებულთაგან არა უმცირეს საშუალო განათლებისა. საბჭოს წევრნი აღირჩევიან საეკლესიო კრების მიერ ექვსი წლის ვადით; ყოველი სამი წლის განმავლობაში ხდება მათი გამოცვლა შემდეგი წესით: პირველად საბჭოდან გადის ოთხი წევრი (ორი სასულიერო და ორი საერო) წილის ყრით, შემდეგში კი—არჩევის უხუცესობის კვალობაზე. საბჭოს თავმჯდომარეობს კათალიკოზ-პატრიარქი, ხოლო როცა კათალიკოზი ავათაა ან სხვაგან სადმეა, მისი მოსაყდრე. დასახელებული რვა წევრის გარდა საბჭოში გადამწყვეტის ხმით მონაწილეობას იღებს ორ-ორი მღვდელმთავარი, რომელნიც გამოიწვევიან ეპარქიებიდან რიგრიგობით ოთხ-ოთხი თვის ვადით. საბჭოს სხდომის დღეებსა და საქმეების განხილვის წესრიგს აწესებს თავმჯდომარე, სხდომა კვირაში ორჯერ მაინც უნდა მოხდეს და ის კანონიერია, თუ შვიდი წევრი მაინც დაესწრება თავმჯდომარითურთ. საბჭოში საკითხი უბრალო ხმის უმეტესობით სწყდება; ხოლო, როცა ხმები თანაბრად იყოფა, მაშინ ის აზრი უპირატესობს, რომელსაც თავმჯდომარე ემხრობა. ის დადგენილება, რომლის თანახმა თავმჯდომარე არაა, უკანასკნელის სურვილით შეიძლება საეკლესიო კრებას წარუდგინოს. თუმცა ამით მისი სისრულეში მოყვანა არ ჩერდება.

§ 12. საკათალიკოზო საბჭოს სამსახურის მხრით ექვემდებარებიან როგორც მღვდელმთავარნი და სასულიერო პირნი, აგრეთვე საეკლესიო დაწესებულებანი და მათში მოსამსახურენი, ხოლო სარწმუნოების და საეკლესიო დისციპლინის მხრით ყოველი წევრი საქართველოს ეკლესიისა. საბჭოს დადგენილებანი სავალდებულოა ყველა დაწესებულებათა და ეკლესიის წევრთათვის, იმათი შეცვლა შეუძლიან მხოლოდ საბჭოს და საეკლესიო კრებას. საკათალიკოზო საბჭო თავისი ფუნქციების ასრულების დროს ხელმძღვანელობს საღმრთო წერილით, მსოფლიო და ადგილობრივ (მათ შორის საქართველოს ეკლესიის) კრებათა დადგენილებით და სახელმწიფოში მომქმედ კანონმდებლობით. საკათალიკოზო საბჭოს აქვს დამხმარე ორგანოები: კანცელარია, სამოსწავლო კომიტეტი, სამეურნეო გამგეობა და სამონასტრო გამგეობა; ამათ გარდა საბჭოს ჰყავს იურისკონსულტი.

§ 13. საკათალიკოზო საბჭოს ექვემდებარება შემდეგი საქმეები: ა) ზრუნვა საეკკლესიო სწავლა-მოძღვრებისა და ქართული ღვთისმეტყველების აყვავებისა და შეურყვნელად დაცვისათვის; ბ) ზრუნვა სამწყსოთა სარწმუნოებრივ-ზნეობრივი წარმატებისათვის, გ) საეკ. კანონთა და საქართველოს საეკკლესიო კრების დადგენილებათა განმარტება; როცა საჭიროება მოითხოვს, ახალი კანონპროექტის შემუშავება და საეპარქიო საბჭოებთან შეთანხმებით, დროებით, მორიგ საეკლესიო კრებამდე, ცხოვრებაში გატარება; კრებას უფლება აქვს დაადასტუროს ან უარჰყოს ამ წესით ცხოვრებაში გატარებული კანონი: დ) თვალყურის დევნება მის ქვეით მდგომ პირთა და დაწესებულებათა მოქმედებისა; ე) ზრუნვა მონასტერთა, ტაძართა, საქველმოქმედო და საგანმანათლებლო დაწესებულებათა კეთილმოწყობისა და წარმატებისათვის; ვ) წინასწარი განხილვა და სათანადო დაწესებულებათა წინაშე შუამდგომლობის აღძრვა მონასტერთა, ეკლესიათა, საქველმოქმედო და სამოსწავლო საგანმანათლებლო დაწესებულებათა წინაშე შუამდგომლობის აღძრვა მონასტერთა, ეკლესიათა, საქველმოქმედო და სამოსწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა დაარსების შესახებ; ზ) სათანადო სახელმწიფო დაწესებულებათა და თანამდებობის პირთა წინაშე საეკლესიო საქმეთა გამო შუამდგომლობის აღძრვა; ც) ზრუნვა სამღვდელოების ქონებრივად უზრუნველყოფისათვის; თ) ზრუნვა სამსახურიდან გასულ სამღვდელო პირთა, საეკლესიო მოხელეთა და სამღვდელოების ქვრივობოლთათვის, ი) ზრუნვა საღმრთო და საეკლესიო-საღვთისმსახურო წიგნთა შედგენისა, შესწორებისა და გამოცემისათვის; ია) მღვდელმთავართა არჩევნების დამტკიცება და მათი სამსახურიდან განთავისუფლება; იბ) რევიზიის დანიშვნა სხვა და სხვა საჭიროებათა და შემთხვევათა გამო; იგ) ეპარქიებისა და საეკლესიო დაწესებულებათა ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა-დამტკიცება; იდ) საეპარქიო და სხვა და სხვა საეკლესიო დაწესებულებათა წლიური ანგარიშების განხილვა და მთელი საკათალიკოზოს წლიური ანგარიშის შედგენა კრებისათვის წარსადგენად; იე) საეკლესიო უძრავ ქონებათა შეძენა განთავისების დამტკიცება; ივ) საბოლოოდ გარჩევა და დამტკიცება საეპარქიო საბჭოთაგან შემოსულ საქმეთა; იზ) ბერობისა და სასულიერო წოდებისაგან განთავისუფლების საბოლოოდ დადასტურება; იც) განქორწინების პროცესის საბოლოოდ განხილვა და დადასტურება; ით) ნებართვა საკათალიკოზოში ნებაყოფლობით შეწირულების საქველმოქმედო მიზნით შეკრებისა; კ) ყველა ავტოკეფალ ეკლესიებთან ურთიერთობის დაჭერა კა) წინასწარი მუშაობა და განკარგულება სრულიად საქართველოს საეკლესიო კრების მოწვევისათვის და აგრეთვე ამ კრებაზე განსახილველ საკითხთა წინასწარი დამუშავება და მასალების შეკრება კბ) ხელმძღვანელობა კათალიკოზის არჩევნებისა; კგ) მიცემა დროებითის თავისუფლებისა, ერთ თვეზე მეტი ვადით, ეპისკოპოსებისა საკათალიკოზო საბჭოსა და საკათალიკოზო სასამართლოს წევრებისა და საბჭოს დამხმარე ორგანოთა გამგეთათვის; კდ) განხილვა და გადაწყვეტა იმ საქმეებისა, რომელნიც საეპარქიო საბჭოებიდან გადმოეცემა.

§ 14. კათალიკოზი, საჭეთმპყრობელად ეკლესიისა ითვლება, მთავარეპისკოპოსი მცხეთისა და სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიაქი, რომელსაც ირჩევს სრულიად საქართველოს საეკლესიო კრება როგორც სასულიერო, ისე საერთო პირთაგან.

**შენიშვნა.** საკათალიკოზო კანდიდატისთვის ბერობის მიღება სავალდებულო არაა. ფიზიკურისა და ზნეობრივის მხრით იგი უნდა აკმაყოფილებდეს საეკლესიო კანონთა მოთხოვნილებას და უნდა ჰქონდეს მიღებული უმაღლესი საზოგადო განათლება და შესაფერი საღვთისმეტყველო მომზადება.

§ 15 კათალიკოზ-პატრიაქი არის „პირველი თანასწორთა შორის“ (მოც. კან. 34) და მისი კომპეტენცია ასეთია: ა) ის თავმჯდომარეობს სრულიად საქართველოს საეკლესიო კრებას, საკათალიკოზო საბჭოს და საკათალიკოზო სასამართლოს; ბ) მწყემსმთავრულად მიმოხილავს საკათალიკოზოს ეპარქიებს და ხელმძღვანელობს ეპისკოპოსებს საეპარქიო მართვა გამგეობაში; გ) მის სახელს იხსენებენ წირვალოცვის დროს საკათალიკოზოს მღვდელმთავარნი და სამღვდელოება; დ) იგი აძლევს დროებით თავისუფლებას: ეპისკოპოსებს, საკათალიკოზო საბჭოსა და სასამართლოს წევრების და საბჭოს დამხმარე ორგანოთა გამგეებს არა უმეტეს ერთი თვისა, ხოლო საეპარქიო მართვა გამგეობის ორგანოთა და სასამართლოს თავმჯდომარეებს და წევრებს ორი თვიდან და მეტის. ე) აგრეთვე აძლევს დათხოვნის სიგელებს იმ ეპისკოპოსებს, რომელნიც ეპარქიიდან დროებით სხვაგან სადმე მიდიან; ვ) როგორც თავმჯდომარე საკათალიკოსო სასამართლოსი, იგი იღებს საჩივარს ეპისკოპთა, საკათალიკოზო საბჭოს წევრთა, საეპარქიო კრებათა და საეპარქიო დაწესებულებათა (საბჭოსა და სასამართლოს) შესახებ და აძლევს ამ საჩივრებს კანონიერ მსვლელობას; ზ) როგორც თავმჯდომარე საკათალიკოზო საბჭოსი, ის ზრუნავს უეპისკოპოსო კანდიდატურის გამოძებნასა და დასახელებას; ც) საჭირო შემთხვევაში, საბჭოს მინდობილობით, ის აძლევს რჩევას და მწყესმთავრულ შენიშვნას ეპისკოპოსებსა და საეპარქიო მართვა-გამგეობის ორგანოთა და სასამართლოს თავმჯდომარეებსა და წევრებს; თ) საბჭოსვე მინდობილობით იმას მიწერ-მოწერა აქვს სხვა ავტოკეფალ ეკლესიებთან და სახელმწიფოს უმაღლეს დაწესებულებებთან.

რედაქტორ-გამომცემელი

**დ. ბ. კვირკელია**


## ექიმები

**ა. მ. ასათიანი** ღებულობს ქალურ, ვენერიულ და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდი პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე სახლი № 3 ტელეფონი № 101.

**ექიმი ვალერიანე მ. ლორთქიფანიძე** იღებს შინაგანი, ბავშთა და ნერვების სნეულებით ავათმყოფებს ყოველ დღე დილის 11—2 საათ. საღამოს 7—9 ს. პუშკინის ქუჩა, ვიტუშინსკის სახლი

დოკტორი მედიცინისა პრივატ დოცენტი **ვარლამ პავლეს ძე მოსეშვილი** დაბრუნდა და განაახლა მიღება ავათმყოფებისა დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—9 საათამდი. მისამართი: გოსპიტლის ქუჩა საკუთარი სახლი.

**ი. ჩარექოვი** ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს. (სისხლში შესხმა „606“ და „914“) დილით $12^{1}/_{2}$—2 საათ. საღამოს 6—8 ს. მისამართი. ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135.

**ვ. ი. გოკიელი** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავათმყოფნი მიიღებიან დილის 8—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრ. ქ. საკუთარი სახ.